ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6417007

ნომერი: AR1955085

თარიღი : 15.03.2023

გაცემის თარიღი : 13.04.2023

გაცნობის თარიღი : 13.04.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბომბორას ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნიკა ხიტირი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008045213

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლუკა ჩაგანავა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N10; 23.03.2023წ.) რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ.თბილისში, ბომბორას ქ.N8-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.

საკითხის განხილვისას თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ:

· გაცნობებთ, რომ სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წერილის ნომრით N60-012308748;

1. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: - წარმოდგენილ იქნას არსებული გენგეგმა ზე - ნარგავების და ყველა საჭირო აღმნიშვნელის ასახვით. ასევე სრულყოფილად იქნას დამუსავებული საპროექტო გენგეგმა;
2. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი: - ისტორიულ არქიტექტურული პროექტის ველში წარმოდგენილია ძეგლის საკადასტრო ერთეულზე დამუშავებული დემონტაჟის ორგანიზების პროექტი, რასთან დაკავშირებითაც განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია; ზ) უძრავი ძეგლის ცვლილება. ამასთანავე განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება";
- ძეგლის არქიტექტურულ პროექტი წარმოდგენილ იქნას დეტალური განამრტებითი ბარათი არსებული და საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნას სპეციალისტის მიერ;
- ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთს "A-C" ფასადის გარდა ყველა მხრიდან ესაზღვრება რეგისტრაციები, საჭიროა საპროექტო გეგმებზე ასახულ იქნას საკადასტროსთან მიბმის მანძილები და გათვალისწინებულ იქნას მიჯნის ზონა;
- ვინაიდან საკადასტრო საზღვრებს გარეთ ეწყობა კიბე და ბილიკი, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა;
- საპროექტო ფასადების საკადასტროდან გადაცდენის მანძილები ასახულ იქნას გეგმაზე, ჭრილზე და ფასადზეც;
- არსებული შენობის დაშლა / რეაბილიტაცია გაერთიანებულად იქნას გათვალისწინებული მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში;
3. .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: - დროებითი წინფრიანი ღობის განთავსებასთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ვინაიდან ხდება საპროექტო საკადასტრო ერთეულის გარეთ განთავსება;
4. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: - დამატებით წარმოდგენილ იქნას ერთიანი მაღალი ხედებით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
5. .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : - წარმოდგენილ იქნას ერთიანი მაღალი ხედებით გადაღებულ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაზე დამუშავებული ფოტომონტაჟები შესაბამისი მითითებებით;
6. წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილ იქნეს თანამესაკუთრეების - შპს „ფუნიკულიორი ტერასას“ და შპს „ფუნიკულიორის“ თანხმობები. ასევე, წარმოდგენილ იქნეს სსიპ - შემოსავლების სამსახურის თანხმობა. ასევე, წარმოდგენილ იქნეს ვალდებულების საფუძვლად დაფიქსირებული დოკუმენტაცია სრულად და საჭიროების შემთხვევაში, გამყიდველების სანოტარო წესით

დამოწმებული თანხმობები. წარმოდგენილ იქნეს ყადაღის საფუძვლად დაფიქსირებული თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის N12/7836, 12.04.2022 წლის განჩინება. ასევე, წარმოდგენილ იქნეს მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის საფუძვლები, აღსრულების ეროვნული ბიუროსა და შესაბამის კრედიტორთა თანხმობები.
7. კონსტრუქციულ პროექტში წარმოდგენილი ქვაბულისა და საძირკვლის მოწყობის გეგმის მიხედვით, ქვაბულის გამაგრების, ქვაბულის მოწყობისა და საძირკვლის ფილის ნახაზები ცდება საკადასტრო საზღვრებს, წარმოდგენილ იქნას ქვაბულის მოწყობისა და ფერდის გამაგრებისთვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო“ თანხმობა შესაბამისი საკადასტრო კოდების მითითებით;
8. მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილ ს/გეოლოგიურ კვლევას აკლა დათარიღებული და ხელმოწერილი, ნიმუშების და სინჯების ლაბორატორიული გამოცდების კრებსითი უწყისი (ყველა არსებული სტანდარტის მიხედვით, გარკვევით, სიტყვიერად მითითებულია, რომ ცხრილების სპეც. გრაფაში უნდა იყოს, გრუნტის ნიმუშის თუ წყლის სინჯის (არსებობის შემთხვევაში) აღების, გამოცდის და უწყისის გაფორმების კონკრეტული, ზუსტი თარიღი). სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიურ სვეტებს აკლია თარიღის გრაფა, სადაც მინიშნებული უნდა იყოს სამთო გამონამუშევრების გაყვანის დაწყების და დასრულების კონკრეტული თარიღი. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიურ სვეტებს აკლია გრუნტის ნიმუშების აღების ადგილების აღმნიშვნელების დატანა, მათი სიღრმეების - დონეების მითითებით. შურფების გრაფიკას აკლია აბსოლუტური ნიშნულები. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული და განახლებული დოკუმენტაცია შენიშვნების გათვალისწინებით.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.